K 216162
3

ანა ბაღოვლიძე

ლექსები

ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

ლუქსემბურგი

სახელმწიფო გამომცემლობა

19 ·✱· თბილისი ·✱· 53

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება შენ, უხვო სინათლევ...

დროშები... დახრილი დროშები...
ქვითინი მილიონ გულთა...
დროშები დახრილან, დროშები
შენს ლამაზ, შენს ნათელ შუბლთან...

ასი მზის ძლიერი წვა გქონდა,
ასი მზის სითბო და ძალა...
ჩაგივლის რიგითი მხედარი
და მოგცემს შენ მხედრულ სალამს...
დიდება შენ, უხვო სინათლევ,
დიდება შენს სახელს მარად!

ამ მებრძოლს შენ ახლდი ოდერზე,
შეხსენით ბერლინის კარი...
ეს შენ დადიოდი ფრონტებზე,
ჩვენი მზის, მიწა-წყლის ფარი...
დიდება შენ, ბევრო სინათლევ,
დიდება შენს სახელს, სტალინ!

ჩვენ გული ცრემლებით სავსე გვაქვს,
თვალები — ცრემლებით სველი...
სინათლევ, ძლიერო სინათლევ,
ვხარობდით, ვხარობდით შენით...
ასი მზის ძლიერი წვა გქონდა,
ასი მზის სითბო და ძალა...
დიდება შენ, ბევრო სინათლევ,
დიდება შენს სახელს მარად!

ხალხი ზღვა კაეშანს მოუცავს,
გული ზღვა ცრემლებად იქცა...
შევკრბებით პარტიის გარშემო,
შენს ლამაზ ჭაღარას ვფიცავთ!

პარტიის ერთობას დავიცავთ,
კვლავ მტკიცე რიგები გვქონდეს...
შეხედე კორეელ ჯარისკაცს,
პირდაპირ ფრონტიდან მოდის!

ჩინელებს გვირგვინი შემოაქვთ...
გული ზღვა ცრემლებად იქცა...
მეგობრულ ალამს ჩვენ არ დავხრით,
შენს ლამაზ ჭაღარას ვფიცავთ!
ზღვა ხალხის უწყვეტი ნაკადი
მსოფლიოს ყოველი კუთხით...
კუბო დგას ქვემეხის ლაფეტზე,
კუბოზე... დევს შენი ქუდი...

ზღვა ხალხი შეკრთა და გაქვავდა...
გული ზღვა ცრემლებად იქცა...
დიდ გამარჯვებათა სარდალო,
ჩვენ შენს გამარჯვებებს ვფიცავთ,
შევკრბებით პარტიის გარშემო,
ასი მზის სითბოვ და ძალავ,
ბოლომდე მივიყვანთ შენს საქმეს,
ჩვენ შენი სწორი გზით წავალთ...

1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მივდიოდით სტალინის დროშით

ქართველი მეომრის სიმღერა

სითბო გვზრდიდა, ჩვენ სტალინის სითბო გვზრდიდა
სამშობლოის აყვავების დროში.
არასოდეს გადავსულვართ სწორი გზიდან,
მივდიოდით წინ სტალინის დროშით.
ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქართული ნანა გვზრდიდა,
აღგვეგავა მტერი რისხვით მზარავი,
მსოფლიოსთვის კავკასიის მწვერვალიდან
გვეთქვა ჩვენი სალამი.
სიტყვა გვზრდიდა, რუსთაველის სიტყვა გვზრდიდა,
წარგვეხოცა ნაკვალევი მგლებისა
და ბერლინში, რაიხსტაგზე, აღგვეზიდა
დროშა გამარჯვებისა.
ნაძრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს, —
ქართულად ხომ მას სიცოცხლე არ ჰქვია?
მტერს დავკარი, სტალინმა თქვა:
— ყოჩაღ, ბიჭო,
ასე უნდა, კარგია! —
მივდიოდით, მივკაფავდით... მძლეოსანთა
ხმალი როდი ვაშიეთ?
ამ გორდათი თავის სიტყვა ეთქვათ რათა
სააკაძის ნაშიერთ.
სითბო გვზრდიდა, ჩვენ სტალინის სითბო გვზრდიდა
სამშობლოის აყვავების დროში.
სადაც სისხლით და შრაპნელის რისხვით წვიმდა,
მივდიოდით ჯუღაშვილის დროშით.

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჭშემართული ყველას გულში დგახარ, ტანია

ზოია კოსმოდემიანსკაიას

ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?
სახელი ძლევის მწვერვალებზე აგიტანია...
ვერაგს რისხავდი სახრჩობელას ბნელ მაღლობიდან.
ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?
დროშად გარხევდა ქარი, ქალო, ალვისტანიანს.

იგი მოვაო... ჭეშმარიტად, იგი მოვიდა,
რომ დაელეწა სისხლიანი ურდო მათი და
ჩამოეხსენი სახრჩობელას შავ ალმართიდან.
ცამდე მაღალი ძეგლი რად გინდა?
მუჭშემართული ყველას გულში დგახარ, ტანია!

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტალინი მოდის

საპირველმაისო

ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვება,
ვაშა ვაშამვე დაფარა.
სტალინი უძღვის მხედრობას
სახეგაშლილი, მზე ვით.
მზე დროშებს მიესაფარა,
მზე დროშებს მიესაფარა,
დროშა ასწიეთ ზევით!
კვამლია, განა ნისლია?
ქვემეხებიდან ისვრიან,
ქვემეხებიდან ისვრიან —
ხედავ? — მახათას მხრიდან.
დროშა ვაჟკაცის სისხლია,
მკლავზე რომ გადაიმსხვრია,
ხმალზე რომ გადაიმსხვრია
შავსისხლიანთა ძვლები.
დღეს უცხო რამ მაისია,
ყოველი ნამაისია...
ჩვენია, აბა ვისია
ეს ბუმბერაზი მთები?
ვიბრძოდით, რომ დღე ხვალისა
არ დაგვმწუხროდა ყვავისფრად,
დროშა გავშალეთ ალისფრად,
მკერდი ვუჩვენეთ ტყვიას.
გვახრჩობდნენ, — არ ვიხრჩვებოდით,
მშობლის ერთგულნი ვრჩებოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვწვავდნენ და ჩვენ არ ვიწოდით,
ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით,
კომუნისტები გვქვია!
რკინის არწივთა ხლებითა —
კავკასიონის მხრებიდან
გმირმა ჯაჭვები დაწყვიტა
და მტერს დასჭყივლა უძღებს.
მიწა ნაცრად ვერ აქციეს,
ცა ვერ დაფერფლეს ხანძრითა,
ცამ გაუნათა არწივებს,
იცისარტყელა უცებ.
ქარმა ცით მიწას მოჰფინოს
ამბავი ჩვენი მკლავისა,
რომ მტერს ვუზღავდით თავისას, —
დავმარცხებულვართ როდის?
მოდის დამხსნელი მსოფლიოს,
„იმედი დღისა ხვალისა“,
„გამთენებელი ღამისა“,
დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი მოდის...
დღეს უცხო რამ მაისია,
ყოველი ნამაისია.
ჩვენია, აბა ვისია
ეს ბუმბერაზი მთები?
კვამლია, განა ნისლია?
ქვემეხებიდან ისვრიან,
გამარჯვებული მოდიან
ომგადახდილი ძმები.

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ წაიღეს, ვერა...

მტერს უტევდა კავკასიის მაღალ მთებთან,
განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?
დაიჭრა და მიწას სისხლი დაეწვეთა...
ბუბუნებდა კავკასიის მიწა...
მას, სამშობლოს ცას, სცოდნია გაშლა ლურჯად,
ცხრათვალა მზე თავს დაადგა მხედარს...
კვდება გმირი? სამშობლო ხომ გადაურჩა?
გავზარდეო, იტყვის ქართველის დედა.
ცეცხლმა დასწვა ცა მწვერვალზე დანაფერდი,
მზე რომ გადიწვერა.
მერე რა, თუ სუნთქვას შეწყვეტს ფართო მკერდი?
„ვერ წაიღეს, ვერა!“
ეს კი არა, მას აცვიფრებს მხოლოდ ერთი,
უტირია ლამაზ ფერაფერას?
— პაწაწინავ, მე გავწირე თავი შენთვის,
ჩვენი მიწა ვერ წაიღეს, ვერა! —
ფერაფერას თავი მასთან დაუხრია,
მის დაცხრილულ, მის სისხლიან მკერდთან...
ფერაფერა ჩასჩურჩულებს დაჭრილ მხედარს,
— მე არ ვტირი, მე ვიქნები შენთან! —
მტერს უტევდა კავკასიის მაღალ მთებთან,
განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?
უსათუოდ სამადლობელს ღაღადებდა
კავკასიის მადლიანი მიწა.

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვია არ წავა ვიეტნამისკენ!

დოკერები უარს აცხადებენ საომარი იარაღით დატვირთული ამერიკული ხომალდების გადმოტვირთვაზე.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

მას ამოძრავებს ერთი სურვილი,
ნათელი აზრით განაფოლადებს:
შებოჭოს ხელი აგრესორების,
ისევ ომების ხანძარს რომ ანთებს;
პირქვე დაამხოს ღმერთი ომების,
ვაშინგტონით რომ მოჰყვა ხომალდებს.

ტყვია არ წავა ვიეტნამისკენ,
იქ, ზღვის ფსკერზეა სავანე მისი:
მან ვერ დაცხრილოს მართალი გული,
მან ვერ დაღვაროს მართალი სისხლი!
მკერდგანიერი, შავი დოკერი
იარაღს შორს, ზღვის ფსკერისკენ ისვრის.

იგი მებრძოლთა სანგრებს მოძებნის
და მრავალტანჯულ თვალებს ჩახედავს...
რომ დაამშვიდოს თანამოძმენი,
ეტყვის:
— არ მოვა ტყვია აქედან! —
ვიეტნამელთა სანგრებს მოძებნის
და მრავალტანჯულ გულებს ჩახედავს.
სადაც მასაა მილიონების,
იქ ადვილია სიკვდილთან შებმა,

იქ უძლურია ღმერთი ომების,
უბადრუკია მარშალის გეგმა!

გამარჯვებული ომზე დოკერი
ნელი ღიღინით დატოვებს გემბანს.

1950

მე ვხედავ ვლადიმერ ლენინს

ჩინეთი აღმავალ გზით მიდის,
დაიმსხვრა ჩინეთი ძველი.
არსებობს ახალი ჩინეთი
კომუნისტური რწმენით:
პეკინის, შანხაის თაღებქვეშ
მე ვხედავ ვლადიმერ ლენინს.

დროშები ევროპის ქვეყნებში
ანთია აისის ფერით,
კომუნის დიდებას ამბობენ
მზესთან, მზედ მიმოფენით.
ვარშავის, ბერლინის, სოფიის
თაღებქვეშ მე ვხედავ ლენინს.

ზღვებს იქით, მთებს იქით იბრძვიან,
იბრძვიან მოძმენი ჩვენი...
სტალინის სახელით მებრძოლი
მრავალგზის ახსენებს ლენინს;
შორს, შორს, ზღვებს იქით, მთებს იქით,
ბნელს ამარცხებენ სადაც,
ვინც ჩან კაი-შის შებმია
და ბაო-დაის ბანდას.

ჩვენ ისევ ომის ხმა მოგვესმის,
ცად რისხვის გარდამვლენი,
ატომის, წყალბადის ბომბებით

სურთ ჩაკლან სიცოცხლე ჩვენი.
მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე
ხალხი ტაშს უკრავს ლენინს...

ის ჩვენთანაა, ლენინი,
ის მზეებრ იცოცხლებს დიდხანს.
ის სიტყვას არ აძლევს აგრესორთ,
ის ომებს არ აძლევს სიტყვას.
შორს უსამართლო ომები,
ცად რისხვის გარდამვლენი.
მსოფლიოს ხალხს უნდა მშვიდობა,
მსოფლიო ტაშს უკრავს ლენინს.

ლენინი მაისის დღეებში,
კეთილი ღიმილის მჩენი,
კვლავ ტრიბუნაზე დგას დიდებით, —
არწივის თვალები შვენის.

1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი ეისლებენში

1945 წლის 2 ივლისს ქ. ეისლებენში (გერმანია) წითელი არმიის პატივსაცემად გერმანელი ანტიფაშისტების მიერ აღმართულ იქნა ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც ჰიტლერელმა ჯალათებმა მოხსნეს კვარცხლბეკიდან რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ჩვენი ტერიტორიის დროებითი ოკუპაციის დროს და გაგზავნეს პოლონეთის და შემდეგ გერმანიის მეტალურგიულ ქარხნებში ჯადასადნობად.

გაზეთებიდან

ის იდგა პატარა ქალაქთან,
მტრის რისხვად ქალაქში შთენილი...
ჰიტლერელ ჯალათებს ზარავდა
ილიჩი, ვლადიმერ ლენინი.
პოლონურ ქალაქში გაგზავნეს
შუბლათასხივგადაფენილი,
უბრძანეს პოლონელთ, ღუმელში
დაეწვათ ვლადიმერ ლენინი ..
ლენინი ხალხმრავალ ქუჩებში —
პირს ლამაზღიმგადაფენილი;
ჩურჩული პოლონელ მუშებში:
მათ იცნეს ვლადიმერ ლენინი.
გაისმის მუქარა ჯალათთა,
ყვირილი, სიტყვები ლიტონი...
ძეგლს მუშის გული ფარავდა:
— არ იწვის ასეთი ლითონი! —
ასე თქვეს მუშებმა კატოვიცს,
ასე თქვეს მუშებმა გადაჭრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძეგლი, ჩვენს მტრებს რომ ზარავდა,
გაგზავნეს გერმანულ ქალაქში...
ლენინი ბრესლაუს ქუჩებში
შუბლათასსხივგადაფენილი...
ჩურჩული გერმანელ მუშებში:
— ლენინი, ვლადიმერ ლენინი! —
არ იწვის, — აქაც თქვეს, — მყარია,
ვერ დაწვავს ღუმელის ჯედლები...
იგი ჩვენს ქალაქში დარჩება
და როცა სტალინის მხედრები
შემოვლენ გერმანულ ქალაქში,
სახეზე ღიმგადაფენილი
მათ ეისლებენში დახვდება
ილიჩი, ვლადიმერ ლენინი.

მოვიდნენ სტალინის მხედრები,
ტყვიების ქარცეცხლი დაანთეს...
მოვიდნენ სტალინის მხედრები,
პასუხი მოსთხოვეს ჯალათებს...
ძეგლი დგას გერმანულ მიწაზე,
ბრინჯაო, მზის შუქში ფერილი:
ასჯერ და ათასჯერ ზარავდეს
მტარვალთ ის — ვლადიმერ ლენინი!

1950

ლენინის ქუდი

მოსკოვში სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საჩუქართა გამოფენაზე წარმოდგენილია ლენინის ქუდი, რომელიც ფრანგებმა გამოუგზავნეს საჩუქრად დიდ სტალინს.

აქ დიდხანს ვჩერდები... ამ ძვირფას საჩუქარს
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.
ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,
'არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს...

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო,
მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი.
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
ხალხმრავალ დარბაზში მე ვუსმენ ლენინს.

მორიგი საკითხი — მიწა და მშვიდობა,
ომებით დაღლილი ხალხების ბედი...
და ისმის დარბაზში: ჩვენ შენთან წამოვალთ,
მშვიდობას დავიცავთ საკუთარ მკერდით!

ყრილობამ დღეს ნახა ლენინი პირველად,
ლენინი — აი ის იმედის შუქი...
ლენინის ყველაფრისმხედველი თვალები,
ლენინის მაღალი, ნათელი შუბლი...

გაჭედილ დარბაზში ხანგრძლივი ტაშია,
ძახილი: „აი, ვინ, ვინ არის ჩვენი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
მე ჭკვიან თვალებში ვუყურებ ლენინს.

ამ ძვირფას საჩუქარს ფრანგები გზავნიან,
ეს ქუდი ეხურა ვლადიმერ ლენინს...
მე მესმის პარიზის ქუჩების ხმაური,
მე მესმის ჩურჩული ნაღვლიან სენის...

და აი, პარიზის მუშათა უბანი,
ქოხების შავი და დაბალი ჭერი
და... უმუშევართა ბრბო... მთელი არმია...
ცა უღიმღამო და ცა ტყვიისფერი...

ლენინის ქუდი... მას ჭერდაბალ ქოხებში
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.
აქ, ასეთ ქოხებში, დღეს ფრანგი დოკერი
რა ფრთხილად ფურცლავს და კითხულობს ლენინს!

ის მუხლს არ მოიყრის დოლარის წინაშე,
არასდროს მორჩილი და თავდახრილი...
ფრანგები იბრძვიან მშვიდობის მხარეზე, —
ამაყი ქვეყანა რუჟე დე ლილის.

გაყინულ მინაზე მზის სხივი ციალებს...
ქართან რომ ჩურჩულებს, არყის ხის რტოა...
მოსკოვში მშვიდობა, მოსკოვში მზე არი,
კრემლიდან სტალინის ღიმილს რომ მოაქვს.

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო,
მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი.
ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,
არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს.

1951

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიხსტაგის კედელზე

„მეც დავწერე რაიხსტაგის კედელზე ბერლინში. ჩემი სახელის გვერდით მე მოვათავსე ოლეგ კოშევოის, სერიოჟა ტიულენინის, ულიანა გრომოვას სახელები“...

ნინა ივანცოვა
„ახალგაზრდა გვარდიის“ წევრი

ჯერ ისევ სისხლი სწყუროდა მახვილს,
ტყვია ცხრილავდა შავ შპრეეს ზვირთებს...
რაიხსტაგს ცეცხლი ეხვია კიდევ...
შენ რაიხსტაგის კედელთან იდექ,
კედელზე წერდი გრომოვას სახელს...

ნახავდი ალამს მიწაზე დახრილს,
ფაშიზმის ალამს, მიწაზე დასულს,
მოიგონებდი საყვარელ კაშუკს,
კედელზე წერდი ოლეგის სახელს.

იცრძენი ხელზე ოლეგის ხელი,
მისი ბავშვური, ნათელი მზერა...
ჯერ ისევ სისხლი სდიოდა ვერაგს,
ჯერ ისევ ცეცხლი ეკიდა ბერლინს.

სკოლის შენობა კამენკას პირას...
ოლეგის სახლთან ვაშლის ხე ერთი...
გესმის:
— შეხედე, შეხედე, დედი,
რა ლამაზი აქვს თვალები ნინას!

როგორ უბრწყინავს თვალები ნინას,
როგორ უბრწყინავს თვალები, დედი!.. —
ირგვლივ ზუზუნი გაჰქონდა ტყვიას,
ოლეგის სახელს ბერლინში წერდი.

ხედავდი კაშუკს, დიდებამოსილს,
შენს ახლოს ფართო, გაშლილი მკერდით.
გამარჯვებული სტალინის დროშა
ბერლინის თავზე აჰქონდათ მხედრებს.

ქვევით ავხორცთა ქალაქი ჩანდა
და ნახანძრალი მოჩანდა ქვევით...
ქვევით დამწვარი ბერლინი ჩანდა,
დამარცხებული ფოლადის ხელით.

ჯერ ისევ სისხლი სწყუროდა მახვილს,
ტყვია ცხრილავდა შავ შპრეეს ზვირთებს..
რაიხსტაგს ცეცხლი ეხვია კიდევ...
შენ რაიხსტაგის კედელთან იდექ,
კედელზე წერდი ოლეგის სახელს.

1952

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაზიმ ჰიქმეთს

გულს ვინ გართმევს სიმღერებით ავსილს?
ვინ შებილწა შენი წმინდა აზრი?
სიცოცხლეზე მღერის შენი საზი...
მას უსმენენ შორს, სტამბოლის იქეთ!

შენი სიტყვა — მტრის გულდასარაზი,
ოკეანის ქარიშხლების მსგავსი...
გულს ვინ გიკლავს სიმღერებით ავსილს?
არ გაჩუმდე, არ გაჩუმდე, ნაზიმ:
შენ გისმენენ შორს, ბოსფორის იქეთ!

წყალზე ნისლი და ბოსფორის წყალზე
ჟამი მწუხრის, მზის თანდათან დასვლის...
მზე რად გვინდა დამავალი, ნაზიმ?
ამომავალს უხმობს შენი საზი,
გავიგონეთ შორს, სტამბოლის იქეთ!

შენ ვერ ხედავ ტალღას, მძიმედ მომსრბოლს
ნაპირებთან, როცა წვება მწუხრი...
შენ ვერ უსმენ ოლეანდრის ფოთოლს,
გაბრწყინვებულს მთვარის მკრთალი შუქით...
მთვარე მშვიდად დასდგომია ბოსფორს...
მზეს, მზეს ეძებს ნაღვლიანი თურქი!

ვარდი უნდა გაჯავრებულ ბულბულს:
გული, გული ამღერდება უკეთ...

ღამე უნდა დაღონებულ ბულბულს...
არა, იგი არც ღამეებს უმღერს, –
იგი ამცნობს დაღამებულ თურქეთს:
მზე ამოდის, მზე, მოსკოვის მხრიდან!

გულს ვინ გართმევს სიმღერებით ავსილს?
ვინ შებილწოს შენი წმინდა აზრი?
შენ დაწყევლე ღამეები, ნაზიმ,
სიცოცხლეზე მღერის შენი საზი:
მზე ამოდის, მზე, მოსკოვის მხრიდან!

1949

თავისუფალ ჰიქმეთს

გულს რა ტანჯავს, რა ნაღველი მძიმე,
ციხის კედლებს განშორებულს უკვე?
ხუნდი ადევს, ხუნდი ნამდვილ თურქეთს
და სულს ხდიან მის ღირსეულ შვილებს.
შენ... მიჰყვები კვიპაროსთა ჩრდილებს:
იქ სახლი გაქვს, ლურჯ ბოსფორის პირას.

და ეს ღამე, მოკაშკაშე ასე,
რა ცივია: თოვს ულუდას მთებში.
იქ, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე,
იმდენივე ანთებული ლექსით
შენ ხელები შეუკარი ომებს, —
აილაგმოს ქვეყნად ომის გესლი.
იქ, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე,
იმდენივე ანთებული ლექსი
შენი გულით ამოფრენას ცდილობს,
ხალხის გულში ჰპოვოს თვისი ბინა...
სად მოგყვება კვიპაროსის ჩრდილი
ამ მშვენიერ, მთვარიანი ღამით?
შენი გულიც ამოფრენას ლამობს:
იქ გელიან, ლურჯ ბოსფორის პირას.

ვიეტნამში ჩვენსავ სისხლსა ღვრიან,
კორეაში ჩვენივ გული კვნესის...

მაშ, რამდენიც ანთებული ტყვია,
იმდენივე ანთებული ლექსით
გავყვეთ ცეცხლში მებრძოლ ვიეტნამელს.
რა ცივია ეს ლამაზი ღამე,
რა ცივია... თოვს ულუდას მთებში.

1950

გაზაფხული და სიცილი შენი

ვუძღვნი ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური გმირის იულიუს ფუჩიკის ნათელ ხსოვნას

ჩურჩულებს ვლტავა სხივდანაფენი,
გუგუნებს პრაღა, სიცოცხლით სავსე...
მესმის ლამაზი სიცილი შენი, .
ყურს თუ დავუგდებ შრიალა ცაცხვებს...

ყურს თუ დავუგდებ მოლდავას ტალღებს,
ნიადაგ ასე მიმავალთ ლხენით;
მზე დაკაშკაშებს დღევანდელ პრაღას,
როგორც ლამაზი სიცილი შენი.

ცაცხვზე ხმაური შხაპუნა წვიმის,
აკაციების სურნელი მძაფრი...
ნაძვი და ტვია, სურო და დაფნა
და ტირიფები მდინარის პირის...

ბოჰემიის ტყის ჩუმი შრიალი...
ბალახი, დილის ცვარ-ნამით სველი...
ლურჯი ლაჟვარდი... როგორ ჰგავს ერთურთს
გაზაფხული და სიცილი შენი...

შენთვის ყვავილი მოჰქონდა პეშეკს,
ციხის ეზოში მოწყვეტდა გავლით.

ო, თუნდაც ერთხელ კაშკაშა მზეში,
ო, თუნდაც ერთხელ ცაცხვებთან, გარეთ...
რამდენი ჰქონდა მზე და სიცოცხლე,
მზე და სიცოცხლე პატარა ყვავილს!

თურმე რამდენი ხარობს კარპატში,
რამდენი ხარობს ზიზილა ჩუმი!
მზეს დაეძებენ მისი თვალები,
პატარა ყვავილს ახსოვხარ თურმე!

ჰო, ახსოვს თურმე პატარა ყვავილს
შენი სიცხისგან დამწვარი ხელი,
გამშრალი ბაგე... როგორ ჰგავს ერთურთს
გაზაფხული და სიცილი შენი!

პრაღაზე ძლევის დროშა გაშლილა,
სამფერი დროშა გოტვალდის ქვეყნის.
მტკიცეა ხალხთა ძმური კავშირი;
შენც მშვიდობის მზეს ღიმილით შეხვდი,
ხელს გართმევთ, — შენ ხომ ჩვენთან ხარ ისევ,
სიცოცხლით ცოცხლობ ყოველი ჩეხის!

ხელს გართმევთ, მზისკენ მივდივართ მტკიცედ:
ჩვენ მხოლოდ მზე და სიცოცხლე ვიცით.
ვინ ჩააქრობდა შენს ლამაზ სიცილს?
ო, კარპატები ყვავიან ისევ!
მშვიდობის დროშა ფრიალებს მაღლა,
გაბრწყინვებულა ლაჟვარდი ვრცელი.
მზე დაკაშკაშებს დღევანდელ პრაღას,
მზე და ლამაზი სიცილი შენი.

1952

კორეელი ქალიშვილების სიმღერა

მთებიდან ზანტად წამოსულ ღრუბლებს
ტყვია ჩაუვლის ანთებულ ზოლად...
სისხლი ნიაღვრად მიჰყვება ქუჩებს,
ქალაქი, როგორც ვულკანი, ბოლავს...

დაჭრილებს ვეძებთ ნანგრევთა შორის,
ნანგრევთა შორის ჩვენ ვეძებთ გვამებს;
ნაქალაქარზე დგას სისხლის ტბორი
და სისხლიანი მძიმდება ღამე.
ო, ლი სინ მანი... წყეულ არს იგი!
არტილერიის რისხვაა ირგვლივ
და ტყვიის ცეცხლი ცის თაღებს ხაზავს.

ჭურვი გადიფრენს კორეის ცაზე,
ტყვიის წვიმაა... ცეცხლის ენები
კვეთენ კორეის დაცხრილულ ღამეს:
სისხლი სწყურია შავ ლისინმანელს.
ქედს არ მოვიხრით კორეელები!

ო, რაკუტო-კო ცეცხლშია ახლა
და შორს, მინდვრებში, ცეცხლი იელვებს...
მოდის სახალხო არმიის ტალღა
და პასუხს მოსთხოვს ამერიკელებს.
ო, რაკუტო-კო... სავსეა სისხლით,
ვით ჩვენ ვართ სავსე ზიზღით მტრისადმი.

ქალიშვილები ცეცხლში მივდივართ
დემოკრატიულ კორეისათვის!
ჩვენ ვიბრძვით, რომ ის, სამშობლო ჩვენი,
არ იყოს ქვეყნად არავის მონა,
ჩვენ ჩვენი ქვეყნით გავდევნით დოლარს...
შორს კორეიდან ტრუმენის ხელი!

გუგუნებს ტანკი... ეს ჩენ კი რენი,
სახალხო გმირი, მტრის ჯარებს ლეწავს.
სისხლიანია კორეის ზეცა,
დაცხრილულია ტყვიებით იგი.
არტილერიის ცეცხლია ირგვლივ...
ჩვენ ბრძოლის ველზე დაჭრილებს ვეძებთ.

1950

გვიხმობდე, შენი ჭირიმე

გვიხმე, ნამგალი დავტოვეთ, მღერით გავცურეთ ოდერი,
გულ და გულ მკერდით გავაპეთ ტალღები მთებისოდენი,
რისხვად და მეხად დავატყდით მტერს ნიაღვარად მოდენილს,
მკერდზე ვარსკვლავი მიბრწყინავს, დიდი ლენინის ორდენი!
კვლავ ცისკრობს ჩვენი ალამი, დუშმანმა რომ ვერ დახარა...
გუშინ თუ ტანკებს ჭედავდა, დღეს ტრაქტორს უშვებს
ქარხანა.
მიწა განახლდა, აყვავდა, გადარჩა სისხლით მოლტობას,
ძლევამოსილნი შემოვხვდით ოცდამეათე ოქტომბერს.
ძალიან ბევრი გაკეთდა! კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი.
ქართველიც ისე შრომობდა, როგორაც ლენინგრადელი.
ხრამჰესი გამოგვიბრწყინდა, მზესავით მოგვცა ნათელი...
ქართველი მკაშიც კარგია, ომშიც მაგარი დამრტყმელი.
გახსოვს, ბერლინში გამგზავნე? შენით ვიყავით
დღეგრძელნი,
წინ გამიძეხი იმედად, ძალის და ღონის შემძენი.
სიკვდილმა ჯაჭვით აიშვა, სიკვდილის დაბმა შევძელი!
მკერდი კლდესავით შემოსწყრა ტყვიას არდანაფარები,
ბერლინი ისე მივლეწე, ვით მქონდა დანაბარები.
მოძმენი ვჩეხდით დუშმანსა, განა ვინ მოვიხმარიეთ?
მოსკოვს მოვედი, მითხარი:
— კარგი ბიჭი ხარ, ტარიელ! —
მზედ დამკაშკაშებ ხარაჩოდ: აქაც იმედად მყოფი ხარ!
შემესიტყვები ღიმილით:
— შრომაშიც კარგი ყოფილხარ! —
გავრჯილვარ, შენი ჭირიმე, გარჯას არ შევეწუხები,

ნათელ მომავალს გვიშენებ, ფოლადად შევედულები!
ხმლად ალესილი ბიჭი ვარ, სიკვდილი მითქვამს უძრახი.
ისევ სარბევად მოვიდეს, არ დავამტვრიო რჯულძაღლი?
ვეღარ წაიღოს მტარვალმა, რაც ოდით გვიამაგია,
მიხმობდე, დუშმანს შევება, დედის რძეც მისთვის მარგია...
თქვა:
— ხელმარჯვეა ის ბიჭი, ყოჩაღად ურტყამს, კარგია!—
სამტროდ თუ მოვლენ, გვიხმობდე, ვისლა რა არის,
ოდერი?
ზღვაცა ხელდახელ გავაპოთ, ტალღები მთებისოდენი,
შეუვალ ტინად შევხვდებით მტერს, ჩვენს სამუსრად
მოდენილს.

1947

სად არის შენი შვილი?

რისთვის გაგიკრთა ძილი?
შენ... რაზე ფიქრობ ახლა?
სად არის შენი შვილი?
იგი... ბანდიტებს გაჰყვა?

ეს ჟღურტულია ჩიტთა,
ქარი მისისიპს გალმით...
ო, დაიძინე მშვიდად,
არ იწვის შენი სახლი...

ეს.. ფხენიანი დაწვეს...
მისის, კოჯედო გმინავს...
ეს.. შენი შვილი დაძრწის,
ბავშვის სიცოცხლეს გმირავს...

სადღაც დაღვრილი სისხლი...
რა შორეული არი!
მისის, ლამაზო მისის,
სად არის შენი ქმარი?

მასაც ქვისა აქვს გული?
გულში—ბოროტი ზრახვა?
სად არის შენი ქმარი?
ისიც ბანდიტებს გაჰყვა?

ის კორეელებს ებრძვის,
კორეას სწვავს და ბუგავს...
ის ვიეტნამელს ებრძვის,
ფერფლს და კვამლს ტოვებს უკან...
უკანასკნელი ქოხი...
ისიც გადაწვეს უკვე!

მალაიელის თავი
სისხლში მოსვრილი გდია...
გადიფრენს თვითმფრინავი,
მიწას დაცხრილავს ტყვია..
ის... იღიმება მშვიდად...
მას... შენი შვილი ჰქვია!
ვინ არხევს ბრინჯის ყანას?
სოფელში მიდის მალვით
ვიეტნამელი ქალი—
მამაცი პარტიზანი...
ცეცხლი ავსულთა ბანაკს!
შრიალებს ბრინჯის ყანა...
სოფელში მიდის მალვით
ვიეტნამელი ქალი...

*

ო, კორეელო ქალო,
ზღვა სიყვარულზე მეტი
ხვედრი ყოფილა შენი,
დიდებაც — შენი ხვედრი...
ფრონტის ცეცხლიან ხაზზე,
ვენის კონგრესზეც გხედავ!
ტაში არ სწყდება დიდხანს
და „ვაშას“ შეძახილი...
ყოველ დელეგატს ჰკითხავ,
-- სად არის შენი შვილი?

სად არის შენი ქმარი,
ო, მშვენიერო მისის?—
პასუხად ისევ ტაში.
ტაშის გრიალი ისმის.
ტაშით პასუხობს კითხვას
დარბაზი გულგაშლილი...
ზანგი გოგონაც გიყვარს,
ის დელეგატიც ჩილის...
კონგრესზე... გულში გიკრავს!
შენ... მისისიპის შვილი.

1953

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯარისკაცო, ვინა ხარ შენ?

„როცა კოპენჰაგენის პორტში შემოვიდნენ ინგლისის სამხედრო გემები ატლანტიკის ბლოკის ომის გამჩაღებელთა მიერ დაარსებულ მანევრებში მონაწილეობის მისაღებად, დანიელმა მშვიდობის მომხრეებმა ინგლისელ ჯარისკაცთა შორის გაავრცელეს ღია ბარათები, რომლებშიც გამოხატეს დანიელი ხალხის დამოკიდებულება იმპერიალისტ აგრესორების განზრახვებისადმი“.

გაზეთებიდან

კოპენჰაგენს თხელი ნისლი ფარავს...
ზღვა ჩურჩულებს, ზღვა ჩურჩულებს წყნარად...
რას უმზადებ ჩვენს მშვენიერ ქალაქს?
ჯარისკაცო, განზრახვა გაქვს მტრული?
ჯარისკაცო, შენ... არა გაქვს გული?

შენ სისხლი გსურს, თუ მშვიდობას იცავ?
ხელს არ გართმევთ: მტრულად მოსულს ვიცნობთ...
შენ ამძიმებ დღეს დანიის მიწას...
ო, შორს ჩვენგან, შენში... სიკვდილს ღვიძავს!
ფხენიანი ხანძარმოდებული
შენ გახარებს... შენ... არა გაქვს გული!

ჩვენს მიწაზე შენ ვერ ინადირებ;
ხალხი იცავს, დგას მშვიდობის მცველად.
შენ... არ იცნობ სტალინგრადის გმირებს?
სტალინგრადი... დაგავიწყდა შენა?

3. ანა კალანდაძე.

გიბრძანებენ — მოკალი და დაწვი! –
შენ მიდიხარ, შენ მოკლავ და დაწვავ...
ო, ვინა ხარ შენ, თქვი, ჯარისკაცო?
მშვიდობის, თუ... ომის ჯარისკაცი?

ჯარისკაცო, შენ... არ გიყვარს დედა?
შენ... იცინი კორეელის ბედზე?
კორეაში შვილი დედას ეძებს,
დედა პირმშოს სისხლში მოსვრილს ხედავს...
ჯარისკაცო, შენში სიკვდილს ღვიძავს...
მაშ, დატოვე ჩქარა ჩვენი მიწა!

1952

შენ, ჩემო ძღიერო ქვეყანავ...

დამცხრალა ომების ხანძარი,
იშუშებ ომების იარებს...
ის შენი ყაყაჩო ალამი
ბერლინში, პრაღაში ფრიალებს...
მახვილს თუ ილესავს ავგული,
მოვა და... კვლავ გაატიალებ...

ასწიე, სულ მაღლა ასწიე
ალამი — სიცოცხლის ძახილი...
იგი ხომ სისხლია ვოლგაზე,
დნეპრსა და ნევაზე დაღვრილი!
ასწიე, სულ მაღლა ასწიე
ალამი — სიცოცხლის ძახილი!

ცხვარი ზედ ციცაბოს ასულა,
ფეხს როგორ იკიდებს ტიალი?
არაგვზე მერცხალი დაცურდა,
სათავეს აჰყვება სრიალით...
ჭიკჭიკებს, სულ შენთვის ჭიკჭიკებს...
გული შენ გაჩუქა მთლიანად!

აშენებს, რაც ომით დაინგრა,
მარჯვენა კვლავ მოუღალავი...
სტალინგრადს, შენს ზღაპრულ სტალინგრადს,
მსოფლიოს მხურვალე სალამი!

ყაყაჩო... რამდენი ყაყაჩო...
რამდენი გრძნეული ფიალა...
შენი მზით, შენი მზით სავსეა
და ტრფობით სავსეა მთლიანად!
ცხვარი ზედ ციცაბოდ ასულა...
ფეხს როგორ იკიდებს ტიალი?

დამცხრალა ომების ხანძარი,
იშუშებ ომების იარას...
ის შენი ყაყაჩო ალამი
ბერლინში, პრაღაში ფრიალებს...
მახვილს თუ ილესავს ავგული,
მოვა და... კვლავ გაატიალებ...

1952

კარში გამო, ჭია-ჭია მარია

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების.
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები.
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების.

უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში,
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს[1].
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში.

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა, აბა, როგორ ინდომეს?!
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოის მინდორ-ველს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა ანკი როგორ ინდომეს?!

ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია,

---

[1] იგულისხმება საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციციშვილი.

დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი.
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი.
ვრცეულ მინდვრებს ტრაქტორები ფარავენ...
ბაღ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ.
ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს—ეს ნიკორა ხარია.

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია,
შრიალებენ, გუგუნებენ თელები:
ჩვენთან მუდამ გათენების დარია,
კობას ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების.
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელები.

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია...
გუ-გუ-გუ-გუ... გუგუნებენ თელები.
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები.
მომახურე, მცივა, ჭია-მარია,
გამიცინე, თუ არ მომეფერები.
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები.

1946



გორიდან ვუსმენთ მოსკოვს

პიონერების სიმღერა

ერთვის სახალხო ზეიმს
ჩვენი გულების ძგერა:
გორიდან ვუსმენთ მოსკოვს,
გორიდან ვუსმენთ ბელადს.

წითელ მოედანს ახლა
ავსებს მქუხარე ტაში...
ასი ათასი მზეა
ჩვენი ბელადის ხმაში.

იგი სიცოცხლის ხმაა,
უსმენს სიცოცხლის ძახილს,
ვისაც მშვიდობა უნდა –
მთელი მსოფლიოს ხალხი.

ხალხებს არ უნდათ ომი,
კვლავ ძმათა სისხლის ტბორი.
გულში იმედის სხივად
დგას პაწაწინა გორი:

ომში მიმავალ მებრძოლს
მისი მზე მიაცილებს.
თვისი საბრძოლო ფიცი
აქ დაუდვია ჩინელს.

აქ დაულოცავს იგი
ქართლის მადლიან დედას:
ტყვია ვერაფერს აკლებს
მაო ძე დუნის მხედარს!

სტალინ, ძვირფასო სტალინ,
მსოფლიოს ხალხთა მამავ,
ასი ათასი მტრედი
შენი ერდოდან ავა!

ასი ათასი მტრედი
შენსკენ წამოვა ფრენით:
ჩვენი სიცოცხლე შენ ხარ,
მზე და მშვიდობა ჩვენი!

მოსკოვს ხმას აწვდის გორი,
შენი მშობელი კერა.
ჩვენც სალამს გიძღვნით შორით,
ყელზე გეხვევით ყველა!

1952

საქართველოო ღამაზო

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო...
თაღნი ელავენ ცათანი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა არცა რისი სადარი.
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი.
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?"
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები.
მთაში ტყე დანაბინდები,
ტყეში ქორბუდა ირმები.
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები;
მხარევ მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?"
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანებს ბალახში.
თეთნულდზე თოვლი მარადი,
ვენახზე მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი – სინათლის სამშობლო
და სიხარულის წიაღი...
დაულეველი სიმღერა...
დაულეველი ლიახვი...
გორი - სინათლის სამშობლო,
მზის და სიცოცხლის წიაღი.
მთებიდან მწყემსის ძახილი,
ხევი იტაცებს ძახილსა...
ნისლები „მეფის კალოზე“,
ქართაგან აშლა ჯანღისა...
ხმალი და მკლავი ნაქები
დიდი სტალინის ხალხისა.
იორი სამგორს შესული...
ივრის ტალღების ხმაური...
სამგორს დასახლდა ხევსური
მინდია ჭინჭარაული...
სამგორს მოსული ყაყაჩო...
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი...
დიდება უთქვამთ ხევსურთა,
იორს — სამგორის სიუხვე...
მთვარე იორში შეცურდა,
გამოქცევია ჭიუხებს...
დიდება უთქვამთ ხევსურთა,
იორს—სამგორის სიუხვე.
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური,
მეშვიდე ცაზე ატანილს.
ჯიხვს მოკლავს გაფრინდაული,
გორში იტირებს ატამი.
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“,
და თუნდაც გადმოსულიყო

მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“.
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი,
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი,
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს
ცაში ასულა ძერაი.
ორი არაგვის სიმღერა —
მთიულეთ-გუდამაყრისა...
თრუსოს მზიანი ხეობა,
კლდეებზე აშლა ჯანღისა...
ხმალი და მკლავი ნაქები
დიდი სტალინის ხალხისა...
გორი სიმღერად ქცეული,
მზის და სინათლის წიაღი...
დაულეველი სიმღერა,
დაულეველი ლიახვი...
გორი—მსოფლიოს იმედი,
მზის და სინათლის წიაღი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო...
თალნი ელავენ ცათანი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

1945—1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ო ტ ს

აქეთ არასდროს გზა არ გქონია,
გადმოგილახავს შორი მინდვრები,
გვალვით გულდამწვარ სამგორის მიწას
ივრის ჭალების შრიალს პირდები.

ახლა ეს მიწა გულს ვერ დახურავს,
ქარი გვირილას მტვრით ვერ აავსებს;
არ ჰკითხავს გამვლელს ჩუმი სამყურა:
— წყალი არ არის ამ ქვეყანაზე? —

უკან დატოვებ შენს ძველ ნაპირებს,
ხალხის ხმას მისდევ და ხალხის ნებას.
ხელს ვართმევ მაგრად სამგორის გმირებს
ჩემს ხალხს ვულოცავ ამ გამარჯვებას!

აბა, შეხედე მზით დამწვარ ბიჭებს...
ხედავ, რა რკინის ძალა ჰქონიათ?
მღერით ჩაირბენ უდაბურ სივრცეს,
იმათი მუხლი გამოგყოლია!

შეხედე იმათ ძარღვმაგარ მკლავებს, —
ისინი ახალ ეპოქას ქმნიან;
სარწყავ სისტემას სამგორის ველზე
დიდი სტალინის სახელი ჰქვია!

მლაშე ტბებისკენ შორი მინდვრებით...
აქეთ არასდროს გზა არ გქონია...
მზე რომ კაშკაშებს სამგორის ველზე,
სტალინის სითბო გამოჰყოლია.

აქ, მოზღვავებულ ხალხის ზეიმში,
იშვა დღეს შენი პირველი ტალღა.
შენ დღეს ათასი თვალი გიყურებს,
თვითონ სტალინი გიყურებს ახლა!

ვრცელმა მინდვრებმა გზა დაგილოცეს,
სალამი მოგცეს გუგუნით მთებმა...
ყველას სტალინმა მოგვცა სიცოცხლე, —
სტალინს სიცოცხლე და გამარჯვება!

1951

რა მოგწონს უფრო?

პატარა ვიოლას

ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიაკოკონა,
ვარდო, გაშლილო დედის ლხენაში!
„დედა ენაში“
რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?
გრძნობაფაქიზი
დარდს ეძლევი, პაწიავ, დიდსა,
ბარტყებს რად სთხოვსო მელია ჩიტსა?
დიდრონ ასოებს აყოლებ თითსა,
ღუღუნებ ასე: ა-ი ი-ა, ა-ი ნ-ა-რ-გ-ი-ზ-ი.
მზე ჩადის ოდეს ზღვის მხარეში ცეცხლის დასავალს
და ღრუბელი დაბურავს მთათა,
დედას შესჩივლებ:
— რად გააგდეს მჩხავანა კატა? —
მასვე უამბობ სამი კნუტის თავგადასავალს.
ფერად სურათებს უალერსებ, წიგნი მოღალე,
წიგნი მოღალე, ოქროს ენა არ მოგეღალა...
ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა!
ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჭიაკოკონა,
გესმის, ვიოლა,
წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის.
რა მოგწონს უფრო, ჩემო გოგონავ,
ჩიტი-ჩიორა,
შროშანი, თუ ყაყაჩოს ლექსი?

1946

იყავ დღეგრძელი, ღურჯთვალა იავ

თვალს ვერ უსწორებ მზეს, ღიმილით დახარე თავი...
ქარი მზრუნველად დაგაფარებს თავზე ბალახებს,
შენ ბალღების თვალს არ დაგანახებს...
ო, მხოლოდ თვითონ შეგხედავს მალვით...
ხედავ, რამდენი სინათლეა, რამდენი მზეა?
შენ თვალების გახელის უმალ
მზეს მადლობით შეხედე ჩუმად...
იყავ დღეგრძელი, ლურჯთვალა იავ...

1946



ტყეში

ტყემ პირსაბური ჩამოიცილა,
გზას მიჰყვებიან ჩუმად არყები.
ყაყაჩოები დგანან გზისპირას,
როგორც საბჭოთა ბაირაღები.
უამრავ ლერწმის გაუვალ ტევრში
ქარი ჩაბღავლებს ვეფხის ნატოტარს...
ჩაფრინდებიან სხივები ტყეში
და შეაშრება ცრემლი მათოთას.

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემი სამშობლოს დიდა

ჩუმად შრიალებს ალვა,
მზისთვის სალამი უთქვამს...
მწყემსმა გაშალა ფარა,
ცეცხლი ჩაღდება რუსთავს.
სხივი დაეცა ლიახვს, —
ათას სიცოცხლის სწორის, —
ქვეყნად დიდება მიაქვს
ჩვენი პატარა გორის...
რტომ გაუცინა მზესა
მსუბუქი კამელიის...
ალბათ, ნექტარი შესვა
ჩემი სამშობლოს დილის.
გზა ჩაუხრამავს იორს,
სამგორს მიაფრენს ტალღებს.
მშვიდია ჩვენი დილა,
როგორც ბელადის სახე.
მშვიდია ჩვენი დილა
ზღვა სიხარულით სავსე...
სხივი ბრწყინდება მზისა
დონის და ვოლგის წყალზე.
ჩუმად შრიალებს ალვა,
მზის გაღიმებას ელის.
არ ეღირსება მტარვალს,
მზე დააბნელოს ჩვენი.
დილა იღვიძებს მშვიდი
დნეპრის, არაგვის პირას...
სტალინს მადლობა დიდი —
ჩვენი სამშობლოს დილას.

1952

თქვი, ჭიამარიავ

ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია...
მზე თავს ვერ დააღწევს ვარდების ღიმილს...
ჩუმ ჭიამარიას
ვუმზერ ჩემს მუხლებზე დაჩოქილს მუხლებით
ყვავილის სადარს...
რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა წუხელი?
გეძინა სადა?
თქვი, ჭიამარიავ, სით მიგიხარია?
თქვი, ჭიამარიავ!

*

ვარდთ შემორჩენიათ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია...
ბალში გაზაფხული ათასფრად ღვივის
და ჭიამარია
ვინ იცის, სად არი...

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა რ შ ი

ჯერ მდუმარეა, მდუმარე და როს
ამოვარდება ქარი ტიალი,
ჩინარი მზისკენ გაფრენას ლამობს
ფოთლის შრიალით...

მიწას სწყდებიან ვერხვებიც მაშინ
და, გოლიათურ მხრების შერხევით,
მზისკენ მიდიან ზღაპრული რაშით
ჩემი ვერხვები.

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაყაჩოსა სიწითლითა

ფრთაგაშლილი მთები არი,
სხივგაშლილი სერებია.
არ ჩურჩულებს ლელიანი,
გული შეუჯერებია.
აქ კორდია მობიბინე,
იქ მზიანი ტევრებია;
რად უსკდება გული ირემს?
გელა გადამტერებია.
თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,
ეს ხომ ლურჯა ცხენებია?
შვიდი ზეცა გადირბინეს,
არსად შეუსვენებიათ.
ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია?!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია“.

1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშრიალე, იგუგუნე...

იშრიალე, დიდო ვერხვო,
იგუგუნე, დედამიწავ!..
გაიშალა ფოთლის ეხო,
ყვავილები გააღვიძა...
ტყევ, დუმილი გვეყო, გვეყო,
მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...
იშრიალე, დიდო ვერხვო,
იგუგუნე, დედამიწავ!..

1945

რა ვარ? სტვირი ვარ!

ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტირივარ?
ქარი ჩამბერავს, ავმღერდები, მე ხომ სტვირი ვარ.
ქარში გაზრდილი და სათუთად
მოჭრილი მერე?
ხმით საამურით მპყრობი გულთა
ვუმღერი ველებს...
ატირებული მპყრობელი ვარ
შენი გულისაც...
იალაღებით მობერილ ვარ
სიყვარულისად...
მხოლოდ შენს გულში მიპოვნია
ვანი სულისა...
მზე ჩამჩურჩულებს ლელიანის ტევრში შობილსა,
იმღერეო, პატარა ქალო!

*

შთამბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა.

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ უ თ ა

ლამის სახლში შემოიჭრეს თუთა,
ლამის თავზე გადამისვამ ხელი.
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი.
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი.
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

1945

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა,
მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავ-ნანამა.
ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა...
ია განგებამ დახატა, თუ ფიროსმანის ყალამმა?
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?
„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა. დიდი მინდორი დანამა“.

1946

ო, მე კი არა, გული ხარხარებს

როცა ნამიან ველზე გავივლი,
ნამი ბალღივით მართობს, მახარებს.
ქარო, მოიტა ატმის ყვავილი,
ქარო, ფოთლებიც შემომაყარე...
და, როგორც გიჟი, ო, როგორც გიჟი,
თმაგაწეწილი მოლი ხარხარებს;
ხეთ სამკაული მოიხსნეს შიშით
და ხელუკულმა შემომაყარეს...
და... მეც გავგიჟდი... ო, მე კი არა,
გული ხარხარებს, გული ხარხარებს.
და შენ, ქუჩაში რომ გაიარო,
ფოთლები წაღმა შემომაყარე.

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიდოცეთ, ძმებო!

აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...
აქ — მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა.
იქ — ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა.
პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარ-მიდამო ჩემი
დამილოცეთ, ძმებო!
აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ღვინიანი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...

1946

შემოდიოდა ჩვენში კაღანდა

და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

1945

პაწაწინა რტო ვარ

მეფერება მზე ალერსის მთხოვარს,
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა.
მე მიგალობს (როდი მიმატოვა!) —
თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ.

ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის,
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად.
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი,
პატარა ვარ, მოფერება მინდა.

მითხარით, როგორ, როგორ ვანდო
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?
მებალეო, ნუ დამტოვებ მარტო,
მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!

1946



* * *

ბაგით ყვავილის მტვერს ამოზიდავს
სუსტი ფუტკარი
და ყვავილების ნასათუთარი
მიესალმება მზეს მიმოზიდან.

1946

* * *

ვიწრო ბილიკებს ბილიკი ჩასდევს...
გზას თვალს არ ვაცდენთ არც ერთი წუთით...
აქ მონადირე დაუგებს ფანდებს
და გაებმება მახეში შურთხი.
გზაზე დაფენილ ხეების ლანდებს
ჩვენ ირმებივით გავურბით, ვუფრთხით...
ვიწრო ბილიკებს ბილიკი ჩასდევს,
შორს დედალს უხმობს მამალი შურთხი.

1945

* * *

ირხევა, ბიბინებს კორდი პაწია,
თეთრი ყვავილების კაბა აცვია;
ნორჩი ყვავილი დუმს აკაციის,
უსმენს სალამურს.

ალუბლის ტოტი ღელავს და შფოთავს:
ჩიტი გაფრინდა ალუბლის რტოდან
მზის სასალამოდ.

1945

ა რ ა ბ ი ხ ა რ?

დგახარ ქუჩის განაპირას,
ვარდებს ყიდი.
— ჩემო კარგო,
არაბი ხარ? —
— იეზიდი, —

როგორც ია,
თავდახრილი ბუჩქის ძირას,
მორცხვი ხარ და
როგორ გშვენის კდემა დიდი.
— თქვი, შავთვალავ,
არაბი ხარ? —
— იეზიდი.

1945

ამ სურით სვამენ

„ომარ ხაიამს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო. მე ვინახულე ხაიამის სამარე ნიშაბურში. იგი მართლაც ფოთლებითა და ბალახით იყო დაფარული მაშინ მომაგონდა ხაიამის სიტყვები და ტირილი დავიწყე“.

ნიზამი

თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,
ვგავდე ყაყაჩოს, სათის ხალიანს.
ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
ომარ ხაიამ!

გული, თელილი ბედის ფლოქვებით,
მოკვდა, დადუმდა დიდი ხანია,
სულს მაინც შერჩა ღვინო დოქებით,
ომარ ხაიამ!

სურები შექმნეს შენი ტალახით,
ღვინო მოულხენს ყელმოხატულებს,
შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,
ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს.

გულზე გაღვრიან ღვინოს ლოთები,
ხეებს შეარხევს ქარი ავყია;
ხეებიც სვამენ ღვინოს ფოთლებით
და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან.

ლოყაწითელი ვარდის ყვავილი,
ფხიზლობს? ჩურჩულებს, როგორც მისანი.
ვარდთ რომ დათოვეს მიწა ყამირი,
ბალღებრ ტიროდა თურმე ნიზამი.

5. ანა კალანდაძე.

ეს სურა შექმნეს შენი ტალახით,
ქართულ მარანში დანახანია,
ყელმოქარგული ლერწმის ტოტებით.
და რა ხანია
ამ სურით სვამენ ღვინოს ლოთები,
ომარ ხაიამ...

1946



თათრის გოგონავ

თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
წელი ლამაზი შეარხიე ლერწმისნაირა,
წითელ კაბაში შეხვდი ბაირამს.
ო, უთვალავი, რაღაც ულევი
მკერდზე ბრწყინავენ ვერცხლის ფულები,
სამკაულები
ნაირ-ნაირი.
თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
თათრის გოგონავ, მოილხინე შენი დაირით.

1946

ასეთი დარი თუ იყო მაშინ

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

1945

შორია თამარ...

მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი:
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...
დედოფალო, საით მიიჩქარი?
ძოწისფერად ირიჟრაჟა ცამან
და პეპელას აღვიძებდა ქარი.
მდუმარე და ნაღვლიანიც იყო...
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...
და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს
მარგალიტით მოჭედილი ქოში.
მდუმარე და ნაღვლიანი იყო...
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში.
რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთო ტანზე.
მიდიოდნენ, მიდიოდნენ ასე...
ბოლო მაინც არ უჩანდა მანძილს.
რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე.
ციდა ნამი ირეკლავდა არილს;
დედოფალსაც როგორ გაეცინა,
როს პეპელა აუფრინდა წინა,
ჭრელი, პაწაწინა.
არწივი ხმობს, ნიშანია დარის.
ციდა ნამი ირეკლავდა არილს;
დედოფალი ლაღადმყოფი ნახეს,
დრო მიეცათ მისსა ჩუხჩერახებს, —

სწამდათ, მაგრამ მაინც ანუგეშეს:
ნუქარდინი შენთა ფეხთა ქვეშე
დააფენსო თავის ბაირაღებს.
ერთგან შედგა, თვალი უსწრო ფრთამალს,
გამარჯვებას უყიოდა თამარს,
ბებერ კლდეზე არწივი რომ იჯდა, —
ფრთას გაშლისო საქმე შენთა ნიჭთა.
ფეხები ხომ არ ტკენია თამარს?
არა, კლდეზე თვალი უსწრო ფრთამალს.
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,
დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად.

მაღალ მთებსა ისევ ნისლი ფარავდათ;
არ ფხიზლობდნენ ნუქარდინის კარავთან;
რის სიფხიზლე? — ისეც ბევრნი არიან!
რისი შიში? — უთვალავნი არიან!
რა ხმა ისმის ნეტავ? საოცარია...
ქრისტიანთა ეკლესიის ზარია?
გაიღვიძეთ, ეს ხუმრობა როდია?!
როგორ? ვითომ, ქართველები მოდიან?!
გონს მოვიდნენ, ზე შემოსხდნენ სპილოთა,
აქლემების სპათა უნაპიროთა
ჩვენსკენ სძრავდნენ, ჩვენ გვისევდნენ რისხვითა
გვერდშეჯარულთ სამის წყრთისა ისრითა.
როცა ძალა ძალას ვერა მორევსა,
ნათქვამია, ხერხი სჯობსო ღონესა:
ქართველებმაც „ზე კი არ ჰკრეს სპილოსა“,
უცაბედად „ქვე შემოჰკრეს რბილოსა“.
სარდლის რჩევით მაშხალები აანთეს,
აქლემ-სპილო ცეცხლის ალით დააფრთხეს,
ერთურთს ხოცდნენ, თავი ვეღარ გაართვეს.
დაფრთხალ მხედართ ცხენთაც თავი წაართვეს.

მოვიდა მცხოვრებთა მოსრვად და თრევად;
მოვიდა თვისივე სისხლისა თხევად.

გაბრუნდა უკანვე ცუდდანაშვერი.
ეჰა, ნუქარდინ, საქმენი შენნი.
გეზღო ესოდენ ბოროტს და თამამს,
გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო,
შორია თამარ...
გზა ფეხშიშველმა გამოვლო თამარ
თავის ხალხის და სამშობლოს გამო.
შენ მოდიოდი ხატების ლეწვად,
ჩვენს აღსაგველად პირისგან მიწის.
ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,
მან ხმლის ხმარება აკვანში იცის.
გეზღო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს,
ქართველი ხალხი უნდოა მტერთან.
სუსტია თამარ... მძლავრია თამარ...
და არცა ღირს ხარ მის ფეხთა მტვერთა,
მოწმენდად ძვირფას ხამლისგან მისა.
შენ მისთვის ბრძანე დაცხრობა მზისა,
მზე დაცხრა შენდა.
მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა,
როს უამბობენ საქმეთა შენთა.
აუ, ნუქარდინ, ახლახან მხოლოდ
იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს
და ანანავებს ვარძიის ქარი
საქართველოის უძლეველ დროშებს.
ეჰა, ნუქარდინ, ბედია მწყრალი,
გესმის, სულთანო, მღერა ბარბითთა,
ხმა მოლხენისა, გაჭრილი ველად?
ეს—თამარ წყნარი და შესაწყნარი
შენს ალამს გზავნის დიდის ამბითა
შეწირვად გელათს.

1946

ეკატერინე გაბაშვილს[1]

გლეხკაცის ფიქრით დაღლილი თავი
შენ დედასავით მკერდზე მიგიკრავს...
აღარ ქვითინებს გოგიას ქალი,
ცრემლი არ ახრჩობს ბედკრულ ნინიკას.

მათი წარსული ღამეა გრძელი...
შავი ღრუბელი ეხვია მთვარეს...
ისე ნისლავდა გლეხის თვალს ცრემლი,
როგორც უენო ღვინიას თვალებს.

და ნაკადულის სევდიან დუდუნს
მოჰქონდა ოხვრა დუხჭირი ყოფის...
რა ნაღვლიანი ხმა ჰქონდა დუდუკს...
რა მძიმე ძილით ეძინა სოფელს.

ტანჯულს შენ კალმით წამოეშველე,
შეუშრე ქუჩეს ცრემლები მწარი...
შენს ლამაზ მკერდზე ტიროდა ნენე,
მძიმე ცხოვრებით დაღლილი ქალი.

შენ ნახე, ქვეყნად როგორ გათენდა
და გაქრა ბნელი მიწისა პირით.

---

[1] წაკითხულია ეკ. გაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში 1951 წლის 28 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ბედნიერი დედაა ქუჩე,
ორენა — უხვი მოსავლის გმირი.

მათი გული და მათი მარჯვენა
ემსახურება დღეს ნათელ მიზანს...
სამგორს მოვიდა ბოროტაშვილი,
წერაქვი დაჰკრა გვალვიან მიწას.

ტრაქტორის საჭეს მართავს ნინიკა,
ნენე მზესავით დაჰხარის კალოს...
შენს ჭაღარა თავს მკერდზე მივიკრავთ,
ნაამაგარო ქართველო ქალო!

ახალგაზრდული ძალით ფეთქავდა
გული, სიცოცხლით სავსე ესოდენ...
და ბოლოს, თურმე, შენ იმას სწუხდი,
ფოთლის შრიალი რომ არ გესმოდა!..

შენ... არ გესმოდა? შენ კარგად გრძნობდი,
ქარსა და წვიმას რაც უნდა ეთქვათ!
ფრთხილად გაკოცებ დაღარულ შუბლზე
და თავს ვხრი შენს წინ ჩემს ხალხთან ერთად.

1951

ნატა ვაჩნაძეს [1]

ცისკრებრ აანთებს მდუმარე ველთა
შენი ნათელი დასული გრძნებით;
ჩაიმუხლებენ შეხვედრად შენდა
აჭარისა და გურიის მთები;
ჩემს თანასოფლელ გურულთან ერთად
მე ჩემს მშობლიურ სოფელში გხვდები.

შეხედე იმას, ალალს და მართალს,
გურულს, — შენ მისი წარსული იცი...
წრფელი სალამი მიიღე, ნატა,
დარიკოსა და სიმონას მიწის.
ქალო ლამაზო, დასულო ნათლად,
ქრისტინეც თავის მადლობას გიძღვნის.

მას სულ პატარა მიწური ჰქონდა,
დაულეველი სევდა და დარდი.
ნუგეშისმცემი ვინ ჰყავდა იმას?
ყვავილი მინდვრად ჩამოჭკნა ადრით.
დღეს ლხენით შეგხვდეს გურული ოდა
და კოსტაია თავისი ნადით.

*

რა შესძლებია მის გამრჯე ხელებს!
ისიც თავისი ნაშრომით ხარობს.

---

[1] წაკითხულია სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი) გამართულ ნატა ვაჩნაძის შემოქმედებით საღამოზე 1949 წლის 20 აგვისტოს.

მზე რომ ისარს ჰკრავს ბახმაროს წვერებს
და ჩიტი მინდვრად გაფრენას ჩქარობს,
შენებრ დასძახე ნარინჯის ველებს
აქ, გურიაში, ლამაზო ქალო!

20 აგვისტო
1949 წელი
ხიდისთავი

ღადო ასათიანს

„გამიხსენებენ, როგორც ნიკალას,
და თბილ სამარეს დააბიჯებენ“.
ლ. ასათიანი

სადმე, ახლოს, მზე კვლავ გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულ-მკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან... ნანას გეტყვის ნაკადული,
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს...
მე ასე მწამს, — ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა...
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს...
არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან,
ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო.
ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა, რათა...
შენს სევდიან „თბილ სამარეს“ ეამბოროს.
შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს,
აღდგებიან წლები შენი ჭაბუკობის:
ისევ გინდა თქვა სიმღერა ჩაუქრობი,
ჩვენს შორის რომ სასოებით იხსენება...
შმაგი ქარი ყვავილებს რომ ჩაუქროლებს,
მშვიდობაზე შენი ლექსი იწერება...
გაზაფხული... ნახე, რარიგ წარმტაცია...
ცეცხლიანი ყაყაჩო რომ ტანს აიყრის,
სადმე, ახლოს, ყვავილს გაშლის აკაცია,
ყვავილს გაშლის და გულ-მკერდზე გადაიყრის...

1946

მრავალჟამიერ

შენს ლურჯ მწვერვალებს, თოვლი რომ ფარავს,
თერგს და დარიალს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად
მრავალჟამიერ!
შენს შმაგ ჩანჩქერებს, მთებიდან ბარად
რომ იჩქარიან,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად
მრავალჟამიერ!
შენს მამაც გმირებს — გზა საომარი
მხნედ რომ გალიეს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად
მრავალჟამიერ!
თავისუფლების, შრომის და ბრძოლის
ძლიერ არმიებს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად
მრავალჟამიერ!
შენს დნეპრს და ვოლგას, დონსა და არაგვს,
ამუ-დარიას,
ახალ მშენებლებს — დიდება მარად
მრავალჟამიერ!
მალე დაატკბობს შრიალი ხეთა
მიწას გვალვიანს...
მშვიდობა, მარად მშვიდობა შენდა
მრავალჟამიერ!
ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი
ძლევით გალიე.
სტალინს სიცოცხლე, დიდება მარად
მრავალჟამიერ!

1952

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
დიდება შენ, უხვო სინათლევ	3
ჩვენ მივდიოდით სტალინის დროშით	5
მუჭშემართული ყველას გულში დგახარ, ტანია	6
დიდი სტალინი მოდის	7
ვერ წაიღეს, ვერა	9
ტყვია არ წავა ვიეტნამისკენ!	10
მე ვხედავ ვლადიმერ ლენინს	12
ლენინი ეისლებენში	14
ლენინის ქუდი	16
რაიხსტაგის კედელზე	18
ნაზიმ ჰიქმეთს	20
თავისუფალ ჰიქმეთს	22
გაზაფხული და სიცილი შენი	24
კორეელი ქალიშვილების სიმღერა	26
გვიხმობდე, შენი ჭირიმე	28
სად არის შენი შვილი?	30
ჯარისკაცო, ვინა ხარ შენ?	33
შენ, ჩემო ძლიერო ქვეყანავ	35
კარში გამო, ჭია-ჭია მარია	37
გორიდან ვუსმენთ მოსკოვს	39
საქართველოო ლამაზო	41
იორს	44
რა მოგწონს უფრო?	46
იყავ დღეგრძელი, ლურჯთვალა იავ	47
ტყეში	48
ჩემი სამშობლოს დილა	49
თქვი, ჭიამარიავ	50
ქარში	51
ყაყაჩოსა სიწითლითა	52
იშრიალე, იგუგუნე	53
რა ვარ? სტვირი ვარ!	54
თუთა	55

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა 56
ო, მე კი არა, გული ხარხარებს 57
დამილოცეთ, ძმებო! 58
შემოდიოდა ჩვენში კალანდა 59
პაწაწინა რტო ვარ 60
* * * (ბაგით ყვავილის მტვერს ამოზიდავს) 61
* * * (ვიწრო ბილიკებს ბილიკი ჩასდევს) 62
* * * (ირხევა, ბიბინებს კორდი პაწია) 63
არაბი ხარ? 64
ამ სურით სვამენ 65
თათრის გოგონავ 67
ასეთი დარი თუ იყო მაშინ 68
შორია თამარ 69
ეკატერინე გაბაშვილს 72
ნატა ვაჩნაძეს 74
ლადო ასათიანს 76
მრავალჟამიერ 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

АННА КАЛАНДАДЗЕ

СТИХИ

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1953

ფასი 3 მან. 20 კაპ.

რედაქტორი გ. ხუხაშვილი
მხატვარი შ. ბერიტაშვილი
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VIII-53 წ. უე 06050. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღ. ზომა 54×84. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 5. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 318.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.